დავალებების ნიმუშები ისტორიაში

I დავალება – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელმა მეფემ დააარსა ქალაქი არტანუჯი, რომელიც აშოტ ბაგრატიონმა აღადგინა და თავის რეზიდენციად აქცია?

ა. ფარნავაზმა
ბ. ვახტანგ გორგასალმა
გ. ფარსმან ქველმა
დ. გურგენმა

სწორი პასუხი: ბ.

II დავალება – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია:

ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით, ხოლო ისტორიული მოვლენები – შესაბამისი თანმიმდევრობით. თოთოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

2. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ) ნაპოლეონის დროს მომხდარი მოვლენები:

1. აუსტერლიცის ბრძოლა
2. ლაიფციგის ბრძოლა
3. სამხედრო ექსპედიცია ეგვიპტეში
4. ლაშქრობა რუსეთში

სწორი პასუხი: 3; 1; 4; 2

III დავალება – შესაბამისობების პოვნა

ინსტრუქცია:

დაადგინეთ შესაბამისობა კითხვის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. თითოეული დავალება მაქსიმუმ 4 ქულით ფასდება.

3. დაუკავშირე მმართველი შესაბამის სახელმწიფოს:

1. დარიოს I	ა. ასურეთი
2. სარდურ II	ბ. ბაბილონი
3. ტიგლათფილესერ I	გ. მითანი
4. მითრიდატე VI	დ. პონტო
	ე. სპარსეთი
	ვ. ურარტუ

სწორი პასუხი: 1–ე; 2–ვ; 3–ა; 4–დ

IV დავალება – მრავალწერტილის შევსება

ინსტრუქცია

ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3). თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა – 3.

4. რომაელები ქართლში

რომაელები ძვ.წ.... (1) მოადგნენ ქართლს. ქართლის მეფე ამ პერიოდში ... (2) იყო. ქართლის მეფემ, ძალთა უთანაბრობის გამო, დესპანი გაგუგზავნა რომაელთა სარდალს – ... (3) და ზავის დადება შესთავაზა.

64 წელს; ფარსმან I; პომპეუსი; არტაგი;
65 წელს; კრასუსი; ფარსმან II; ბრუტუსი; 66 წელს.

სწორი პასუხი: 65; არტაგი; პომპეუსი.